საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9624/01
13/09/2021

9624-01-2-202109131508

მოქალაქე გელა გამტკიცულაშვილს

ელ. ფოსტა: gia@twinswinehouse.com

ბატონო გელა,

სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 28 ივლისის N13348 განცხადება, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული წყალსაცავის (ტბორის) ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- დოკუმენტის თანახმად, მდინარე ლოპოტას, საიდანაც ხდება ტბორების წყლით მომარაგება, საშუალო წლიური ხარჯი არის 6,58 $მ^3$/წმ. მდინარე წყალდიდია გაზაფხულზე, წყალმცირე ზაფხულში. მდინარე ლოპოტა წყლის ნაკლებობას განიცდის ივლისის და აგვისტოს თვეში, ამავე პერიოდში ჰიდროელექტროსადგური, რომლის წყალმიმღები განლაგებულია ტბორის წყალაღების წერტილიდან 750 მეტრის ზევით, წყვეტს ფუნქციონირებას. ამავე პერიოდს ემთხვევა მდინარის წყლის მაქსიმალური ამოღება ტბორის მომარაგებისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებითი ინფორმაცია მდ. ლოპოტაზე სხვა წყალმომხმარებლების თაობაზე, ასევე ინფორმაცია მდ. ლოპოტას ჰიდრომეტრიული პარამეტრების შესახებ. მათ შორის, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს მდინარის მოცემულ მონაკვეთში წყლის ხარჯის საშუალოწლიურ, მაქსიმალურ და მინიმალურ მაჩვენებლებს, მდინარის ხარჯის შიდაწლიურ განაწილებას;
- სკრინინგის განცხადების თანახმად „ტბორი ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს გარემოზე“, ამასთან მითითებულია რომ ტბორიდან გამომავალი წყალი შემცირებული რაოდენობით უერთდება „ღია არხს. ამის შემდეგ არხი კარგავს ფუნქციას, ის იყოფა რამოდინიმე განშტოებად და იკარგება, მას არ აქვს სადმე ჩადინების წერტილი“. დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია წყლის დანაკარგების და ტბიდან გამომავალი წყლის მოცულობის შესახებ, კონკრეტული პერიოდების გათვალისწინებით, ასევე გავლენა ნიადაგზე, გრუნტზე და მიწისქვეშა წყლებზე;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ თავში 4.1 აღნიშნულია, რომ ტბორი არ გამოიყენება სამეწარმეო

საქმიანობისთვის (თევზის მოშენება), ხოლო თავში 4.4 მოცემული ინფორმაციის თანახმად, ტბორი ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს გარემოზე, რადგან იგეგმება თევზის მოშენება და კაპიტალური სამშენებლო სამუშაოები. დაზუსტებას საჭიროებს იგეგმება თუ არა ტბორის სამეწარმეო საქმიანობის მიზნით გამოყენება, მათ შორის თევზის მოშებება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული სკრინინგის განცხადება.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე